# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 | საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი | 1877—1891


## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესასვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ახალი ამბავი

*** ქალაქის თავი თ. არღუთინსკი ბორჯომს მიდის მარიამობისთვის დამლევამდე და იმის თანამდებობას აასრულებს წევრი გამგეობისა ბ-ნი ივანენკო იმ დრომდე, სანამ ქალაქის თავის მოადგილე ბ-ნი იზმაილოვი ჩამოვიდოდეს, რადგან ესეც დროებით დათხოვნილია სამსახურიდგან.

*** გორის მხრის ავაზაკებს, რომელნიც ამ დღეებში შეიპყრეს ცხინვალის ხეობაში, როგორც შევიტყეთ, ტფილისში ჩამოიყვანენ მარიამობის თთვის ექვსში.

*** დღეს ჩვენს გაზეთში დაწვრილებით იბეჭდება ჯავის ხეობაში შეპყრობილ ავაზაკების შესახებ. იქვეა მოხსენებული, როგორ დაუჭრიათ დუშეთის მაზრის დისტანციის უფროსი თ. ყარამან ფაღავა. დაჭრილს ფაღავას ჯერ ჯავაში შეუკრა ჭრილობა ცხინვალის ექიმმა, შემდეგ 16 ივლისს ჩაიყვანეს გორში და აქ ჭრილობა გაუსინჯა ტფილისიდგან გუბერნატორის მიერ გაგზავნილმა საქალაქო ქსენონის დოსტაქარმა ბ-ნმა როზენბაუმმა და სთქვა, რომ ჭრილობა სასიკვდილო არ არის, მორჩება, მაგრამ ძვალი აქვს ტყვიით გატანილი და ეხლავე ძნელად სათქმელია, დაეტყობა საბოლოოდ რამე ნიშანი, თუ არაო. დაჭრილი თავ. ფაღავა გუშინ დილით ბ-ნმა გუგუშვილმა ტფილისში ჩამოიყვანა და ამ ჟამად საქალაქო ქსენონში იმყოფება.

*** სახელოსნო სასწავლებელში შეგირდებმა, როგორც ნათქვამი გვქონდა, უარი სთქვეს, აღარ ვიმუშავებთ 15 ივლისიდგანაო. აი ეს საქმე როგორ დაბოლოვებულა: ორშაბათს შეკრებილან სასწავლებელში ის მასწავლებელნი, რომელნიც ამ ჟამად ტფილისში არიან. კრებას დასწრებია ახალი წევრი ქალაქის გამგეობისა ბ-ნი ივანენკოც. მიუხედავად იმისა, რომ შეგირდებმა, სთხოვეს თავის უფროსს ბ-ნ ხარკოვს, გვაკმარეთ ზაფხულის თთვე ნახევრის მუშაობა ისე, როგორც წარსულს წლებში იყო ხოლმე ჩვენს სასწავლებელში, და დაგვითხოვეთო, რჩევამ მაინც დაადგინა, თანახმად სასწავლებლის გამგებელის სურვილისა, რომ სახელოსნოებში მუშაობა მარიამობის თთვის 1-ლ რიცხვამდე იქმნას განგრძობილიო. ამას გარდა რჩევამ კომისია აარჩია—ბ-ნი დირექტორი სკოლისა, ინსპექტორი და სამი მასწავლებელიც,—რომელმაც უნდა „გამოიკვლიოს მიზეზი“ სკოლაში მომხდარის ამბავისა.

მეორე დღეს სკოლაში გამოაკრეს თურმე განცხადება, რომლითაც ატყობინებდნენ შეგირდებს, რომ თანახმად პედაგოგიურ რჩევის გარდაწყვეტილებისა შეგირდები ვალდებულნი არიან 1-ლ მარიამობისთვემდე იმუშაონ და, ვინც ამ განკარგულებას გადაუდგება, შესაფერად დასჯილი იქნებაო.

ამასთანავე ისიც შევიტყეთ, რომ ზოგიერთ შეგირდებისთვის ბ-ნ დირექტორს დაურიგებია ბილეთები, რომლითაც ისინი 1-ლ ოქტომბრამდე დათხოვნილ არიან, მაშინ როდესაც სწავლა 1-ლ სექტემბერს იწყება. ამ ბილეთების პატრონები ბევრსა სცდილობენ თურმე შეიტყონ მიზეზი ამდენის ხნით დათხოვნისა, მაგრამ ვერა შეუტყვიათ-რა. ზოგი მათგანი უარსაც აცხადებენ, არ წავალთ, გვინდა ვიმუშავოთო, მაგრამ ეუბნებიან, ბილეთები მიგიღიათ, უნდა წახვიდეთო. დათხოვნილნი არიან ამ გვარად 4 ქართველი, 3 რუსი და ერთიც სომეხი. ნეტა რას ნიშნავს ეს?

*** ავჭალის ქუჩის რკინის გზის ამხანაგობისათვის უთხოვნია ქალაქის საბჭოს დელეგატს ბ-ნ პაშკევიჩს, ფოსტალიონსა და დეპეშების დამტარებელთ მიეცით უფასო ბილეთები, რომ ავჭალის ქუჩაზედ გაუადვილოთ თავის სამსახურის ასრულებაო. ბ-ნ ყორღანოვს, ამ რკინის გზის ამხანაგობის წარმომადგენელს, სრული თანხმობა გამოუცხადებია და ფოსტალიონებისა და დეპეშის დამტარებელთათვის დაუთმია მუქთი ბილეთები.

ამას გარდა ბ-ნ ყორღანოვს გამოუცხადებია, რომ ყველა მოსწავლეებს, დილიდამ ვიდრე ნაშუადღევის სამს საათამდე, როცა სკოლებიდგან ბრუნდებიან ჩვენის ცხენის რკინის გზით სიარულისათვის ნახევარი ფასი გამოერთმევათო.

არა ჰგავს ტფილისის ცხენის რკინის გზის ბელგიელთა უსახელო საზოგადოებას, რომელიც უფრო იმასა სცდილობს, რომ რაც შეიძლება მეტი წააგლიჯოს ჩვენს ქალაქს და არავითარს საშუალებასა და შეღავათს არ აძლევს ქალაქის მკვიდრთა.

*** როგორც ვიცით, მომავალ საზამთრო სეზონისათვის ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ თითონ იკისრა ქართულის დასის შედგენა და მართვა. ამ ჟამად კომიტეტი ზემოხსენებულ საზოგადოებისა უკვე შესდგომია არტისტების მოწვევას. როგორც შევიტყეთ, რეჟისორი უკვე ამოურჩევიათ კიდეც ახალის დასისათვის და ამას გარდა გადაუწყვეტიათ მოიწვიონ, სხვათა შორის: ქ-ნი ძნელაძისა და ბ-ნნი ყიფიანი, ალექსი-მესხიშვილი და სხვანი. ამასთანავე კომიტეტი დრამატიულის საზოგადოებისა ტანისამოსს აახლებს და ახალის რეპერტუარის შედგენაშია.

*** სომეხთ არტისტი ბ-ნი პეტროსიანი სომხურის დრამატიულ საზოგადოების მინდობილობით, უკვე გაემგზავრა ტფილისიდამ სტამბოლს, რომ იქიდამ სომეხი არტისტები ჩამოიყვანოს მომავალ სეზონისათვის.

*** ბათუმიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ბათუმის ნავთ-სადგურის უფროსს დეპეშა მიუღია შინაგან საქმეთა მინისტრისაგან, არაბისტანსა და სირიაში ხოლერა გაჩნდაო და საზღვარ გარეთიდამ მომავალი გემები კარანტინში გაატარეთო. ამას გარდა იერუსალიმს წამსვლელთ პასპორტები აღარ მიეცემათ, რადგანაც შესაძლოა ეს სატკივარი შემოიტანონ აქაო.

*** სამშაბათს, ამ თთვის 16, ღამის საფოსტო და სახალხო მატარებელმა, რომელიც ბაქოს მიდიოდა, ძლივს მიაღწია სადგურს ყარაიზამდე: გზაზე ორთქლმავალი გატეხილიყო. ყარაიაზის სადგურზედ საქონლის მატარებლისაგან

## ფელეტონი

### პედაგოგიური საკვირველება

ანუ

*Курсъ русскаго языка для грузинскихъ начальныхъ школъ, годъ первый, составилъ Ф. Левитскій.*

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 145)

მეოთხე გვერდი ანბანისა იწყება ასე: тетка თეთქა учит. დარწმუნებული ვართ, რომ მკითხველს ეს „თეთქა“ კორექტურული შეცდომა ეგონება ან ავტორისა და ან ჩვენი, ისეთი უცნაური და სასაცილოა იგი. მაგრამ მოსტყუვდება. ბ-ნი ლევიცკი მოწაფეებისაგან თხოულობს მართლა, სერიოზულად, რომ მათ тетка წაიკითხონ როგორც თეთქა, мать როგორც მათ და სხვა. ეს რომ სხვას ჩაედინა, ჩვენ განცვიფრებას საზღვარი აღარ ექნებოდა; მაგრამ ბ-ნ ლევიცკიმ ისე შეგვაჩვია თავისს უკუღმართს ნახტომებსა, რომ ძლიერ არ გვიკვირს. საჩივლელი აქ კიდევ ის არის, რომ თვითონ რუსული სიტყვა тетка უკანონოდ არის ნახმარი; უნდა იყოს тётка. ხოლო ნუ გვგონებათ, რომ ეს კერძო შეცდომაა. მთელს წიგნში ბ-ნ ლევიცკის არსად აქვს ნახმარი ასო ё. ეს ასო მიუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ რუსეთში ყველა რუსულს წიგნში, მეტადრე სახელმძღვანელოებში, რადგანაც იგი ხატავს არა მარტივ ხმას е, არამედ რთულსა, რომელიც დაახლოებით გამოიხატება მარცვლით іо. მით უფრო საჭიროა ეს ასო წიგნებში, რომელნიც დანიშნულნი არიან ქართული ბავშვებისათვის. ჩვენი აზრით ამ ასოს ცალკე გაკვეთილი უნდა ეძლევნას ჩვენი სკოლებისათვის შედგენილს რუსულს ანბანში, რადგანაც თავისებური ასოა და თავისებური გამოთქმაც ეჭირება. ბ-ნ ლევიცკის-კი პანჩური უკრავს მისთვის და გაუძევებია მთლად. იგი ყველგან, სადაც ეს ასო იხმარება, სწერს е-სა და რადგანაც ამ ასოს ქართულ ე-ად გამოათქმევინებს ბავშვებსა, ამიტომ ისინი შემდეგს რუსულს სიტყვებს: идётъ, пришёлъ, орёлъ, поросенокъ, телёнокъ წაიკითხავენ ასე: идэтъ, пришэлъ, орэлъ, парасэнокъ, тэлэнокъ და სხვანი. ბავშვები მთელს წიგნს გაათავებენ, რუსული ანბანი-კი სრულად არ ეცოდინებათ და როდესაც სხვა რუსულს წიგნში ამ ასოს შეხვდებიან ё-სა სახტად დარჩებიან და წაკითხვას ვერ მოახერხებენ.

მერვე გვერდზედ ვკითხულობთ: огородъ ოღოროდ. აქაც შეცდომაა, თუმცა არა ისეთი მსხვილი. რომ აშკარად შევიტყოთ, რა განსხვავებაა რუსულს г და ქართულს ღ შორის, საკმარისია კანონიერად გამოვსთქვათ რუსული სიტყვა гора და ქართული ღორი. ქართული ასო გამოითქმის ხანის ქვემოთი ნაწილებისა, ხოლო რუსული ზემონაწილითა. რუსული г უფრო რბილია, ქართული უფრო მახვილი, მკვახე. რუსულს г უჭირავს შუაგული ადგილი ღ-სა და გ-ს შორის და უფრო ამ უკანასკნელს ასოს უახლოვდება. საკმარისია ავიღოთ რამოდენიმე საკუთარი რუსული სახელი ასოთი г და მივაქციოთ ყურადღება მათ გამოთქმას ქართულად: Георгій—გიორგი (და არა ღიორგი), Герасимъ—გერასიმე (და არა ღერასიმე), Гори—გორი, Гурія—გურია და სხვანი. ამიტომ როცა ქართველი რუსულს г გამოსთქვამს, როგორც ღ-სა, ეს კარგის რუსულის მცოდნეს ყურს ეჩოთირება. სემენარიელები, რომელნიც ამ გარჩევას ნაკლებად არიან მიჩვეულნი, შემდეგს რუსულს სიტყვებს ასე გამოსთქმენ: ღоворятъ, ღора, ღолубь და სხვანი. გემნაზიელები, რომელთაც უფრო კანონიერი რუსული გამოთქმა იციან, სარგებლობენ ამ შემთხვევითა და ხშირად უკიჟინებენ ხოლმე სემინარიელებსა. აქედგან ის დასკვნა გამოდის, რომ რუსული г-ს ქვეშ ქართულის ღ-ს მოწერა ბავშვებს მიაჩვევს უკანონო გამოთქმასა და საქმეს ავნებს. ამიტომ ამ რუსულის ასოს სწორე გამოთქმის სწავლება უნდა დაევალოს ცოცხალს სიტყვას მასწავლებლისას და არა შეუსაბამო ასოსა. და თუ მაინცა და მაინც არ დაიშლით ქართულის ასოს მოწერას г-ს ქვეშა, უნდა დასვათ გ და არა ღ.

მეთერთმეტე გვერდზედ ავტორი სწერს: кортофель კარტოფელ და ამბობს, რომ ф და ფ ერთმანეთთან ახლოს არიანო. ახლოს-კი არიან, მაგრამ ერთნი არ არიან; ამიტომ ერთი ასოს კანონიერად ამოკითხვა მეორე ასოს შემწეობით ყოვლად შეუძლებელია და ის შედეგი მოჰყვება, რომ რუსულს სიტყვებს: фамилія, фасоль, филинъ ამოიკითხვენ ასე: ფамилія, ფасоль, ფилинъ და სხვანი.

საკვირველია, რომ ავტორს ეს მზგავსება ქართულისა და რუსულის ხმებისა ზოგს შემთხვევაში საკმარისად ჩაუთვლია, რომ ქართული ასო ქვეშ მოეწერა მზგავსი რუსული ასოსათვის, ზოგს შემთხვევაში-კი ულალატნია ამ გზისათვის. მაგალითად რუსულს ასოებს щ, я, ю ზედმიწევნით გამოსთქმენ ქართული ასოები: შჩი, ია, იუ, უფრო მეტის ზედმიწევნით, ვიდრე ზემოხსენებული მაგალითები; მაგრამ ბატ. ლევიცკი თავისს საყვარელს მზგავსებას აქ-კი შემოსწყრომია მთლად და ხსენებულს რუსულს ასოებისათვის ქართული ასოები არ მოუწერია. რა მიზეზით? კაცია და გუნებაო, ასკილი და კუნელაო. წიგნის კითხვა სინტეტიური მოქმედებაა. კაცი ასოებს და მარცვლებს აერთებს ერთმანეთთან და გამოჰყავს სიტყვები, სიტყვებს აერთებს ერთმანეთთან და ადგენს წინადადებებსა. ანალიზს კითხვის პროცესში ადგილი არა აქვს. ანალიზი მხოლოდ იმისათვის არის საჭირო, რომ შედგენილობა სიტყვისა აუხსნა ბავშვსა, გააგებინო, რომ სიტყვა შესდგება მარცვლებისაგან და მარცვლები—ასოებისაგანა. რა-კი ამას მიახვედრე ბავშვი, ანალიზს თავი უნდა ანებო და აკითხო ბავშვს სიტყვე-

მოეხსნათ ორთქლ-მავალი და ამ გვარად გაესტუმრებიათ მატარებელი. ამ მიზეზით ბაქოდამ მომავალმა მატარებელმა დაიგვიანა ქალაქში მოსვლა.

*** სიღნაღი: ამოვიკითხეთ თუ არა, რომ აკაკი წერეთელი უკეთ გამხდარა, მაშინვე აქაურებმა პოეტის მცნობებმა და პატივისმცემლებმა სამადლობელი პარაკლისი გადავიხადეთ. პარაკლისზედ საკმაოდ ბევრი ხალხი დაესწრო.

*** ხონი: ამას წინად კახეთიდგან უჩიოდნენ ტფილისის საბრეშუმო სადგურის უფროსს, რომ სნეული აბრეშუმის თესლი გამოგვიგზავნა და თუმცა ყველა ჯეროვანად ვუვლიდით ამ საქმეში გამოცდილის კაცის ხელმძღვანელობით, ჭია მაინც ერთბაშად დაიხოცა ცახზე ასვლის დროსაო.

უარესი საქმე დაჰმართა ტფილისის საბრეშუმო სადგურის უფროსმა აბრეშუმის მომვლელებს ქვემო-იმერეთში და განსაკუთრებით დიდ-ძალ აბრეშუმის დაყენება-მოვლის მიმდევარს ხონის საზოგადოებას, რომელიც ხუთიოდ წლის გამოცდილებით შეჩვეული იყო ევროპიულს აბრეშუმის თესლს და ამას უფრო ამჯობინებდა შინაურს თესლსა. წრეულს-კი, როდესაც უმეტესობას თითქმის განსაკუთრებით ტფილისის საბრეშუმო სადგურის გამოგზავნილი თესლის აბრეშუმი ჰქონდა, ჩვენშიაც, როგორც კახეთში, სნეული გამოდგა და ცახზე ასვლის დროს ჭია ერთბაშად დაიხოცა. სამწუხარო და საზარალო ის იყო, რომ ჭია იხოცებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც დიდის შრომისა და ხარჯის შემდეგ პარკებს ელოდნენ. სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ამის წყალობით წელს მარტო ხონის საზოგადოებას 10,000 მან. ზარალი მოუვიდა: აქ გამოგზავნილი თესლი სულ ცოტა 300 მანეთისა გაიყიდა და, ამოდენა სნეულმა ჭიამ სხვა თესლის ჭიაც გააფუჭა.

*** თელავი. ხუთშაბათს, 11 მკათათვეს, როგორც მკითხველებაც უწყიან, სწორედ მეორედ მოსვლის დღე ეწვია ჩვენს მხარეს. ამ დღეს საღამოზედ ჩამოაწვა შავი ღრუბელი კახეთს, წამოვიდა წვიმა და ოთხსხუთს საათს განუწყვეტლი წვიმდა. მოსქდა ნიაღვრები და ცოტახნის შემდეგ მთელი აქაური დიდი ქუჩები და „ბულვარი“ ისე მიარიყა, რომ კაცს ეგონებოდა, აქ, ქალაქი-კი არა, რიყეაო. ვინც თელავში ყოფილა, ყველას ეცოდინება, რომ ძველსა და ახალს თელავს ჰყოფს შუაზე რიყე, და აი სწორედ ეს რიყე ისეთი განრისხებული მოვარდა, რომ ახლომახლო სახლები და დუქნები სულ ერთიანად წალეკა და გაუყენა გზას. ნიაღვარმა მოსთხარა და წაიღო თან: სამოქალაქო შენობა, რომელშიაც მოთავსებული იყო შვიდი დუქანი, სამოქალაქო სასწორი, ცხრა-თვალიანი სახლი თავ. რუსიშვილისა, რომელშიაც დუქნები და საწყობი იყო ნივთებისა და სხვ. და სხვ. სარდაფების ავსებას რიცხვი არ აქვს: აივსო წყლით გეურქოვის დუქანი და ღვინის სარდაფი; წყალმა აიტივტივა შიგ რაც რამ იყო, გამოიტანა გარედ და მდინარეს მისცა. ყველა აქაური მცხოვრებნი თავთავიანთ სახლების კარზე იდგნენ და სცდილობდნენ წყალი როგორმე არ შეჰპარვოდათ სახლში მაგრამ ამაოდ: თითქმის ყველას აევსო ძირის სახლები წყლითა. ბევრი საწყალი ხალხი დაღუპა და დასტოვა ულუკმა პუროდ ამ ნიაღვარმა. ზარალი ჯერ-ჯერობით დაბეჯითებით არავინ იცის და დაახლოვებით-კი, როგორც ამბობენ, 20,000 მანათამდე იქნება. ყველა, ყველა, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ ამისთანა წვიმასა და ნიაღვარში ცეცხლი გაჩნდებოდა. წვიმა დაიწყო საღამოს რვა საათზე და განუწყვეტლივ სწვიმდა გათენებამდის. სწორედ შუაღამისას გაუჩნდა ცეცხლი აქაურს სახელმწიფო ყაზარმების აგურხანას და სულ ერთიანად დაიწვა. რაც-კი გადარჩა, ისიც წვიმამ გააფუჭა. აგურხანა ხე-ტყით იყო გადახურული. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერ არავინ იცის; ამბობენ, ზარალი 10,000 მანათს აღემატებაო.

*** იქიდამე. შაბათს, 13 მკათათვეს, აქაურს საზოგადო კრების დარბაზში ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ, ქეთევან კახიძის დახმარებით, აქაურის საზოგადო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ გაჰმართეს ქართულ-რუსული წარმოდგენა. მონაწილეობა მიიღეს: ქ. კახიძისამ, ბ-მა ზურაბიშვილმა, შიუკაშვილმა, პოსპელოვმა, ოჰანეზოვმა, ვერმიშევმა, ყაზარაშვილმა, საყვარელიძემ, საჩინოელმა და მერაბოვმა. წარმოადგინეს რუსულად გოგოლის „რევიზორიდგან“ მეორე მოქმედება და ქართულად თავ. რაფ. ერისთავის კომედია „ბიძიასთან გამოხუმრება“. ხალხი საკმაოდ ბლომად დაესწრო წარმოდგენას: კლუბის დარბაზი სავსე იყო. ამ ერთს გასართობს მეორეც ჩქარა მოჰყვება: უკვე გვეწვია ბ-ნი რატილი ერთის მომღერალ ქალითურთ. პირველ კონცერტს გაჰმართავენ კვირას, 14 მკათათვეს.

*** რამდენისამე დღის წინად ჩვენს გაზეთში მოყვანილი იყო, რომ ოსმალეთის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, სომხების სკოლებში მასწავლებლებმა დღესასწაულ დღეს სომხურს ენაზე სიტყვა ისე აღარ წარმოსთქვან, სანამ ეს სიტყვა განხილული არ იქმნას ოსმალეთის მთავრობის მიერაო. ამ საგნის შესახებ გაზ. „ტფ. ლისტოკი“-ს კორესპოდენტი იუწყება სტამბოლიდგან, რომ სტამბოლის პატრიარქმა უსიამოვნება გამოაცხადა ოსმალეთის საერო განათლების მინისტრის ასეთის განკარგულების შესახებაო.

*** ამას წინად რომ მღვდელსა სცემა ქოლგით ერთმა მანდილოსანმა მუშტაიდის ბაღში, როგორც გამოძიებას აღმოუჩენია, ამის მიზეზი თურმე ისა ყოფილა, რომ ამ მღვდელსა და მანდილოსანს ფულის ანგარიში ჰქონიათ: მღვდელს გამოურთმევია 12,000 მ. და აღარ დაუბრუნებია; ამას გარდა, პირობა მიუცია, მაგრამ უარი უთქვამს და, როგორც „ტფ. ლისტოკი“ ამბობს, ყოველ თთვის თავზე სამ-სამ თუმან ნახევარი არ გადაუხდია ვალის გასასტუმრებლად.

---

## არჩილური, შვიდ-თავი

(საამდროო ამოცანები)

—

ისტორიას ხილად სწერდა, ნეტა
საით გაიპარა?
ნეტა თუ სწერს სხვა უფრო სრულს,
ან თუ რაც სთქვა, ის იკმარა?
ზანგებ ჰქმნა, თუ მოუვიდა დადუმება
ასე ჩქარა?
იქნება, რომ ძველთა წიგნთა ჩხრეკა-ძებნა
შეეზარა?
ლამაზად-კი გამოჰკრებდა, გვიამბობდა
წყნარა-წყნარა,
ორივ სჯობდა, თვარა ეგებ წერა
ძმასაც დაუბარა.

---

## ყაჩაღი ტატე და მისი ამხანაგები

ძლივ - ძლივობისას ეშველა ჩვენს გორის მაზრას! გუშინ ამ თთვის 14-ს დიდს ლიახვის ხეობის სოფ. ხვწეში დაიჭირეს სახელ-განთქმული ყაჩაღები: ტატე ჯიოშვილი, სანდრო ხუბულური და ალექსი ხასიევი. მოხსენებულს რიცხვს, შუადღის 12-ს საათზედ, ტფილისისა და დუშეთის დისტანციის უფროსები ისმაილ-ბეგ ჯანბულატოვითა და ბ-ნი ფაღავა ორის ურიადნიკით ზაურ-ბეგ ჯანბულატოვი და არბოლაშვილით მიდიოდნენ დიდის ლიახვის ხეობაში და როდესაც ჯავას დაუახლოვდნენ, შეიტყეს, რომ ზემოხსენებულ ავაზაკებს მოეკლათ იქვე ახლო ერთი დარაჯი და მეორე კიდევ დაეჭრათ და შემდეგ სოფ. ხვწისაკენ წასულიყვნენ. მაშინვე შემოჰკრეს ცხენებს ქუსლი და გაჰქანდნენ ესენიც იქითკენვე. ამ თთვის 13-ს მეოთხე ამხანაგი ავაზაკებისა ამ სოფლის ახლო ერთ ოსს მოეკლა. ამ ოსის მოსაკლავად და მთელის სოფლის დასასჯელად მივიდნენ თურმე მოკლულის ერთგული ამხანაგები და როდესაც შევიდნენ და სოფლის მცხოვრებლებს დაუშინეს თოფები, სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ მათი ვაჟკაცი მოწინააღმდეგენიც. იმავე წამს ასტყდა თოფის სროლა. ყაჩაღები გაიფანტნენ, ამოეფარნენ ქვებს და ბერდანის თოფებით ასტეხეს ჯახა-ჯუხი. თითქმის პირველსავე შეჯახებაზე სანდრო ხუბულურის ორჯელ ნასროლმა ტყვიამ ძირს დასცა ფაღავა თავის ცხენით. ტყვია ფაღავას ფეხში კოჭთან მოხვედროდა, გაენტვრია ძვალი და ცხენის მეორე გვერდში გავარდნილიყო. დაჭრილი ფაღავა მიცოცებულიყო პატარა სარუემდის, ჩამჯდარიყო შიგ და დაეწყო თოფის სროლა. თუმცა სანდრო ქვას ეფარა, მაგრამ სულ მთლად-კი არ იყო დაფარული: ფეხები უჩანდა თურმე. ამ ფეხებს დაუმიზნა ახლა დაჭრილმა ფაღავამ და სწორედ იმ ადგილს მოარტყა ტყვია სანდროს, რა ადგილშიაც ამ უკანასკნელმა ეს დასჭრა. სანდროც დაეცა ძირს, მაგრამ ფაღავასავით არც ამას შეუწყვეტია სროლა, ვიდრე პატრონები სრულიად არ გამოელია.

ამავე დროს, სროლის დაწყებისათანავე ორნი ჯანბულატოვები ჩაუსხდნენ ტატესა და ალექსას და დიდხანს ამაოდ ზუზუნებდა აქედგან და იქიდგან ტყვია. ბოლოს ახალგაზდა ზაურ-ბეგი გაძვრა მთის ფერდობზე ატეხილს ბუჩქნარებში და გვერდიდგან წამოუარა ტატეს. სამჯერ ესროლა თურმე და ვერ მოარტყა, მეოთხე ტყვია-კი მოხვდა თეძოში, ბარძაყ ცოტა ქვემოდამ, დაუმსხვრია დიდი ძვალი და გავარდა მეორე გვერდში. ტატემ თოფი შორს გადაისროლა; როგორც შემდეგა ნახეს, ეს თოფი გაფუჭებული ყოფილიყო. თვითონ ტატე დაეცა მიწაზე. ალექსამ მოასწრო თურმე ბუჩქებში გადახტომა და თუმცა ისმაილ-ბეგი ფეხ-და-ფეხ შეჰყვა ქალაში, მაგრამ ველარსად ვერ დაინახა, თავს უშველა: ის გაიქცა თურმე სოფ.

---

ბი და ფრაზები, რომელშიაც ახალი გაცნობილი ასო ხან თავში იყოს, ხან შუაში, ხან ბოლოში, ხან ერთს ნაცნობს ასოს უჯდეს გვერდით, ხან მეორეს, ხან მესამეს, ხან მეოთხესა. ბავშვი მხოლოდ მაშინ ითვისებს ასოსა, როცა მას ხედავს იგი ყოველგვარ მდგომარეობაში, ყოველ გვარს მეზობლობაში. კიდეც ამიტომ არის, რომ ყოველ რიგიანად შედგენილს ანბანში თითო ასოზედ ჩამწკრივებულნი არიან მთელნი რიგნი სიტყვებისა და ფრაზებისა. ბატონი ლევიცკი აქაც უკუღმართად მოქცეულა. პირველი ათი ასოსათვის სინტეზი სრულიად არ ულირსებია. აქ ვარჯიშობა მას მხოლოდ იმითი განუზრახავს, რომ ბავშვს სიტყვას აყოფინებს მარცვლებზედ და მარცვლებს ასოებზედ. შედგენა სიტყვებისა და ფრაზებისა ახალი ასოს ხმარებით სრულიად დავიწყებია ავტორს პირველს ექვსს გაკვეთილში. მეშვიდე გაკვეთილში, რომელიც ნაძღვნი აქვს ასოს II, მხოლოდ ერთი მოკლე ფრაზა აქვს მოყვანილი საკითხავად: Пиши, Нина. მერვე გაკვეთილში ორი საკითხავი ფრაზაა, მხოლოდ, მეცხრეში და მეათეში აღარც ერთი ფრაზა არ მოიპოვება; მეთერთმეტეში— ორი, მეცამეტეში—ერთი. შემდეგ გაკვეთილებშიაც ორიოდ-სამიოდ ფრაზა თუ შეგხვდებათ, მეტი არა.

მეთექვსმეტე გაკვეთილიდგან აჭრელება ანბანისა მატულობს იმის გამო, რომ კურსივის ქვეშ ბეჭდური ასოები აქვს მოწერილი და ბავშვები იძულებულნი არიან ორს კურდღელს ერთადა სდიონ. თანაც ავტორს უებარი ღონისძიება უხმარნია, რომ წამდაუწუმ კურდღლების მდევარმა ბავშვებმა ყარნა-ყურნა იარონ. როგორ? აი როგორ: კურსივის კითხვის დროს ბავშმა უნდა იხტუნოს პირველი სტრიქონიდგან მესამეზედ, მესამედგან მეხუთეზედ, მეხუთედგან მეშვიდეზედ და სხვანი; ბეჭდურის კითხვის დროს მეორე სტრიქონიდგან უნდა იხტუნოს მეოთხეზედ, მეოთხიდგან მეექვსეზედ, მეექვსედგან მერვეზედ და სხვანი. თვითონ დიდიც-კი ხშირად აირევა ამ ხტუნვაში და რა უნდა ჰქმნას საწყალმა ბავშვმა. ამის მსგავს რასმეს ვერც ერთს სახელმძღვანელოში ვერ შეხვდებით, და აღმოჩენის პატივი აქაც მთლად ეკუთვნის ბატ. ლევიცკისა.

ანბანის მეცხრე გვერდზედ ვკითხულობთ ავტორის ბრძანებასა მოსწავლეთადმი: читайте 5-й параграфъ „курса“. ამ გვარსავე ბრძანებასა სცემს იგი სამჯერ კიდევ ანბანის შემდეგს გვერდებზედ. თანახმად ამ ბრძანებებისა, ბავშვებმა უნდა ანბანიდგან ხშირად ილაწლაწონ საკითხავ წიგნში და საკითხავ წიგნიდგან ანბანში. რასაკვრელია, ეს ლაწლაწი საქმეს დააბრკოლებს და ბავშვებს გააბეზრებს: რად ინება ეს ავტორმა? თუ „კურსის“ პარაგრაფები საკითხავად გამოდგებოდნენ ანბანში, რატომ აქ არ ჩაურთო და არ დაიხსნა ბავშვები ამ უცნაურს ართურმასა? რად ჩაიდინა მოქმედება, რომელიც მოგაგონებთ იმ ჭკვიანი ქიზიყელის გლეხისას, რომელმაც იმის მაგივრად, რომ წალდი ბანიდგან ძირს ჩამოეტანა და ძროხა ისე დაეკლა, ძროხა აათრია ბანზედ წალდთან დიდი ვაი-ვაგლახით და იქ დაკლა იგი? უფრო ცუდი კიდევ ის არის, რომ, ხტუნაობა ბავშვებს მარტო ანბანის სწავლების დროს არ მოუხდებათ. თვითონ „კურსის“ კითხვის დროსაც უნდა ხშირად იხტუნონ და ლაჯებ ქვეშ გამოივლონ ის პარაგრაფები, რომელნიც მათ ანბანის სწავლების დროს გაათავეს.

ქართული ენის შენობა ზოგი მხრით ჰგავს რუსულსა, ზოგი მხრით ძლიერ განირჩევა. რა საკვირველია, ქართულის მზგავსი მხარე რუსულის ენისა უფრო ადვილია ბავშვებისათვის, არა მზგავსი უფრო ძნელია. ძირითადი პედაგოგიური კანონი მოითხოვს: იწყე ადვილიდგან და გადადი ძნელზედაო. ამის თანახმად, ქართველმა სკოლამ პირველს ხანებში ბავშვებს უნდა ასწავლოს ის რუსული ფრაზები, რომელნიც შენობით ჰგვანან ქართულს ფრაზებსა, და შემდეგში გადავიდეს იმ გვარს რუსულს ფრაზებზედ, რომელნიც არ შეესაბამებიან ქართულს ფრაზებსა. რაში განსხვავდება უმეტესად ქართული ენა რუსულისაგან? ქართული ენა მოკლებულია სამს თვისებას რუსულის ენისასა. პირველი: ქართულს ენას არა აქვს გრამატიკული ნათესაობა, რომელიც ერთს ძირითადს თვისებას შეადგენს რუსულის ენისას. მაგალითად: Умный мальчикъ, умная дѣвочка, умное дитя;—Иванъ пришелъ, Лиза пришла, дитя пришло; одинъ мужчина, одна женщина, одно дитя. ამ ფრაზებში ზედშესრული умный, ზმნა пришелъ და რიცხვითი სახელი одинъ სამ გვარად იცვლიან დაბოლოებას იმის მიხედვით, თუ რომელს სახელი არსებითს ეკუთვნიან: მამრობითსას, მდედრობითსას, თუ საშუალოსა. ქართულს ენაში-კი ზედშესრული ზმნა, და რიცხვითი სახელი უცვლელი რჩებიან ყოველ შემთხვევაში: ჭკვიანი ვაჟი, ჭკვიანი ქალი, ჭკვიანი ბავშვი, ივანე მოვიდა, ლიზა მოვიდა, ბავშვი მოვიდა, ერთი კაცი, ერთი ქალი, ერთი ბავშვი. ამის გამო ქართული ბავშვის გონებისათვის სრულიად უცხოა, გაუგებარი და ძლიერ ძნელი შესათვისებელი გრამატიკული ნათესაობა და მისი ხმარება. თვითონ დიდებსაც, რომელთაც გიმნაზია და უნივერსიტეტი შეუსრულებიათ, უძნელდებათ თავისუფალი ხმარება გრამატიკული ნათესაობისა და ხშირად ბორძიკობენ. აშკარაა, რომ პატარა ქართველს ბავშვებს პირველ ხანებში უნდა გავაცნოთ ერთი უმთავრესი მამრობითი ნათესავი და გაცნობა მდედრობითის და საშუალო ნათესავის ხმარება შემდეგისათვის უნდა გადავდოთ. ბავშვებმა უნდა ისწავლონ ჯერჯერობით მხოლოდ ის ფრაზები, სადაც მამრობითი სქესი იხმარება, და მხოლოდ შემდეგში შეუდგნენ სწავლებას ფრაზებისას, აშენებულს მდედრობითსა და საშუალო ნათესაობაზედ. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდს სიძნელეს მოვახვევთ ბავშვს თავზედ და პედაგოგიის წინააღმდეგ მოვიქცევით.

მეორე: ქართული სიტყვები ბოლოვდება მხოლოდ ხუთს ხმოვან ასოზედა. უხმო ასოზედ დაბოლოება ქა-

კოშკასაკენ, სადაც ნაცნობ ოსებს, როგორც თვით ამბობს, მოტყუებით და უთოფო (ტყვია აღარა ჰქონდა) დაეჭირათ.

ამ დროს ზემოდგან მოიჭრნენ ბრძოლის ადგილას მცხეთის და გორის ბოქაულები ბ-ნნი გუგუშვილი და გვარამაძე. ესენიც თურმე მეორე მხრიდგან მოსდევდნენ ავაზაკების კვალსა.. უცებ შემოესმათ თოფების გრიალი და სისწრაფით გამოჰქუსლეს მოხსენებულის ადგილისაკენ, სადაც როცა მოვიდნენ, თითქმის ყველაფერი გათავებული იყო. აჰყარეს იარაღი დაჭრილ ტატესა და სანდროსა და იმავე წამს გამოუყენეს კაცები გაქცეულ ალექსას, რომელიც უკვე შეპყრობილი მოჰყავდათ ოსებს. საქმე ჯერ ისევ ახლად იყო დაწყობილი, როდესაც დაღლილ-დაქანცული არბოლიშვილი მივიდა მდინარესთან და გემრიელად დალია მისი ცივცივი წყალი. დალევა ამ წყლისა და მისი უსულოდ დაცემა დედამიწაზედ ერთი იყო თურმე. გარდაცვალებული არბოლიშვილი იქვე დაასაფლავეს. მეორე დღეს დილით დაჭრილი ფალავა დააწვინეს საკაცეზე, ტატე და სანდრო ურემზე, ხელებ შეკრული ალექსა მოუყენეს ურემს უკან და წამოვიდნენ ცხინვალისაკენ, სადაც უკვე მოსულიყო გორის მაზრის უფროსი და მაშინვე გამგზავრებულიყო დაჭრილ ავაზაკებისაკენ.

დღეს, ამ თთვის 15-ს, საღამოზედ ბ-ნმა მაზრის უფროსმა მოიყვანა ცხინვალში მოხსენებული დაჭრილ-დაჭერილები. მთელი ცხინვალი და მრავალი გარშემო სოფლელებიც-კი წინ დახვდნენ ჯერ პატივცემულ ვაჟკაცს ფალავას საკაცეს, ლოცვა-კურთხევით მიაცილეს იგი საავადმყოფომდის და შემდეგ მიუბრუნდნენ ავაზაკების ურემს, რომელსაც ორმოცამდე ცხენოსანი და შეიარაღებული პოლიციელი და ხალხი მოსდევდა. ტატე მაღალი ტანისა, მოსული ვაჟკაცია, ეშხიანი სახე აქვს, კეთილი თვალები და ზორბა ხელები. მაყურებელის გულში უფრო სიბრალულსა ჰბადავს, ვიდრე ბოროტს გრძნობას. ესევე არ ითქმის იმის ორის ამხანაგის შესახებ. სანდრო ახალგაზდაა, ფერ-მკრთალი, შუა ტანის კაცი. თუმცა თვალები სიბრაზითა და შეუბრალებლობით აქვს სავსემაინც, ვაჟკაცის ნიშანწყლისა არა ეტყობა-რა: ჭეშმარიტი ტიპია ქურდ-ბაცაცა კაცის მკვლელისა. მესამე — ალექსი შუა ტანის თხელი კაცია, ულაზათო, არა-ვაჟკაცური სახე აქვს... საქალაქო სკოლის ოთხი კლასი აქვს გათავებული, რუსულად კარგად ლაპარაკობს, ქართულად-კი სრულიად ვერა, რადგან მაღლამდოლელი ოსია. ყველაზე შეუბრალებელი ამ სამში ეს იყო თურმე. ტატემ ქართული წერა-კითხვა სანაქებოდ იცის. ჰფიცავს, რომ მე კაცის სისხლში ხელი არა მაქვს გასვრილიო.

— აბა, ძმაო, უთხრა მას ერთმა გულ-მტკივნეულმა მანდილოსანმა: რად ჩაიდინეთ ესეთი საქმეები? ის არ გერჩივნათ, რომ თქვენთვის ყოფილიყავით, პატიოსნად გეშრომნათ, ხელმწიფისათვის გემსახურათ?

— რა ვქნათო, მიუგო მწარე ღიმილით ტატემ: „ალბად ჩვენი ბედის ვარსკვლავი ესეთი იყო!.. რაც შეეხება სამსახურს, ვერა გავაწყე-რა: განა არ ვემსახურებოდი, მაგრამ ეს ჩემი სამსახური ვერავის ვერ დავანახვე!!...

ხვალ დილით სამივეს გორში უპირობენ გასტუმრებას.

ლ.

15 მკათათვე

ცხინვალი

## წვრილი ამბავი

სწორედ სასაცილო ამბები მოხდა ამ ათიოდე დღის წინად ქალაქ დენდში. იქაური დალაქები მხოლოდ კვირაობით დაჰკეტავენ ხოლმე დუქნებს და პირობაც აქვთ მთელს ამქარს დადებული, რომ არავინ იმუშავოს ამ დღესა. იქით კვირა ერთი დალაქი გაჯიუტდა, ამქარს ამ პირობაზე არ დასთანხმდა და კვირა დღესაც გააღო დუქანი. გაიგეს თუ არა სხვა დალაქებმა ეს ამბავი, მაშინვე იმ ურჩის დალაქის პირდაპირ დაიქირავეს ერთი დიდი დარბაზი და მსურველთ უფასოდ დაუწყეს კრეჭა-პარსვა. ღამის 10 საათამდე გაცხარებულნი მუშაობდნენ გულმოსული დალაქები: 500 კაცზე მეტი მუშტარი გაისტუმრეს და ერთს კაცს არ შეადგმევინეს ფეხი ხარბის დალაქის დუქანში.

— ლიონში ერთს ქალს საშინელი ამბავი დაემართა. საღამოს რვა საათი იქნებოდა, რომ ამ ქალს, თავისს ოთახში მწოლარეს, უეცრად გამოეღვიძა და იგრძნო, რომ რაღაცა მფხაჭნისო. თურმე საწყალს ორი შინაური კატა მისდგომოდა და საშინლადა ჰღრღნიდნენ. დაიწყო წივილ-კივილი, მაგრამ, ვიდრე სხვები არ მიეშველნენ, კატები ვეღარ მოიშორა. დაფხაჭნილ-დაკბენილი ქალი მაშინვე სამკურნალოში გაგზავნეს, მაგრამ საბრალომ გზაზედვე დალია სული.

— როგორც უკანასკნელის აღწერიდგანა სჩანს, ინგლისში ქალთა რიცხვი ძლიერ სჭარბობს მამაკაცთა რიცხვსა. საზოგადოდ მთელს ინგლისში ერთს მილიონზე მეტი ქალია, რომელთაც მარტოობაში, გაუთხოვრად უნდა დაალამონ თავიანთი წუთი-სოფელი. ამ საგნის შესახებ ერთი გაზეთი სწერს, რომ მიზეზი ქალთა სიმრავლისა ისიც არის, რომ მამაკაცებმა ძლიერ მოუხშირეს საზღვარ გარედ გადასახლებასო. თუმცა ეს საქმე ასეა, მაგრამ ინგლისელი ქალები ისეთს გაჭირვებაში ვერ არიან, როგორც სხვა ქვეყნის ქალები. ამისი მიზეზიც კიდევ ის არის, რომ ინგლისში ქალებს სხვა-და-სხვა სამსახურში იღებენ და სახსარს აძლევენ ცხოვრებისას.

— პარიჟში მეგლი აუგეს ლიტერატორს ვიქტორ ნუარს, რომელიც 1870 წელს პრინცმა პიერ ნაპოლეონმა მოჰკლა. ამ ამბის გამო ეხლა გაზეთებმა მოიგონეს ტიერის სიტყვები, ვიქტორ ნუარისა და იმის დასაფლავების შესახებ თქმული, რომლის დროს არეულობას მოელოდდნენ. როდესაც ოფიციალურ დეპუტაციას თავისი კმაყოფილება გამოუცხადებია, რომ ყველაფერი მშვიდობით გათავდაო, ტიერი ცოტა შემოჰზილა და უთქვამს: „ესლანდელი მთავრობა ბედნიერია. ასი ათასი კაცი მოგროვდა და ვერაფერი ვერა მოახდინეს-რა-კი. ჩემს დროს ეგრე არ იყო ხოლმე საქმე: ხუთი რესპუბლიკელი და ხუთი კიდევ სხვა რომ შეიყრებოდა, მაშინვე ერთს ქუჩას მაინც ავაფეთქებდითო.

## წერილი რედაქციის მიმართ

1884 წელს ტფილისის რკინის გზის დეპოსთან დაარსდა ბ-ნ ყაზბეგის თაოსნობით წიგნთ-საცავი და მასთან ჟურნალ-გაზეთების სამკითხველო. რა თქმა უნდა, რომ ბ-ნი ყაზბეგი მადლობის ღირსია ამ კეთილის საქმისათვის, მაგრამ არ შეგვიძლიან ტფილისის სადგურზედ მოსამსახურე ქართველობამ არ ვუსაყვედუროდ, რომ ჩვენ და ჩვენი ლიტერატურა სრულიად დაავიწყეს. წიგნთ-საცავში იპოვება რუსული, პოლონური და გერმანული განყოფილება და ჩვენმა-კი რა დაუშავა, არ ვიცით. მოსამსახურეთა უმეტესს რიცხვს ქართველობა შეადგენს, მაშასადამე ბ-ნი ყაზბეგი ვალდებული იყო უმეტესობისათვის ეზრუნა. ორთა შუა რიცხვით რომ ვსთქვათ, 2,000 კაცზედ მეტი ქართველი ჰმსახურობს დეპოებსა და სახელოსნოებში. აი, სწორედ ამდენი ადამიანი აქამდე მოკლებული იყო იმ სულიერს საზრდოს, რომელიც ეგრე საჭიროა.

შვიდმა წელიწადმა განვლო და მხოლოდ ეხლა, როგორც იყო, ქართული განყოფილებაც მიუმატეთ. ეს საქმე ითავა ებრაელმა მემაშინემ ბ-ნმა მალიაცკიმ. პირველად წიგნთ-საცავის გამგეთ იყიდეს ერთის თუმნის წიგნები. ზედ დავუმატეთ მოსამსახურეთა შორის მოგროვილი წიგნები და ამ გვარად 35—70 წიგნამდე შესდგა. მესამე-მეოთხე დღესვე იმდენი აღმოჩნდა კითხვის მსურველი რომ ერთი წიგნიც აღარ დარჩა. რადგან წიგნები ცოტა გვაქვს და მოთხოვნილება-კი დიდია, ჯერ არ ვატყობინებთ სახელოსნოში მომუშავეთ, სადაც 1,000 მეტი კაცი ჰმუშაობს, ქართულ წიგნების არსებობას. ეხლა გამოგზავნეთ ერთი რკინის გზაზედ მოსამსახურე, რომელსაც 200-მდე კარგი ქართული წიგნი აქვს, უკვე მოვურიგდით და ვიყიდეთ წიგნები. ამისდა მიუხედავად ვინც თითო-ოროლა წიგნს მოგვაწოდებს ჩვენის სამკითხველოსათვის, დიდ მადლობას მივუძღვნით. წიგნები შემომწირველთ შეუძლიათ გადასცენ „ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიას.“ სამკითხველო საშუამაც არსებობს და კარგი იქნება, რომ იქაურმა შეგნებულმა კაცებმაც იზრუნონ ქართული განყოფილების სისრულისათვის. სირცხვილი ჩვენთვის, რომ ამისთანა საქებურ საქმისთვის გული შესტკივათ უცხო კაცებს და ჩვენ-კი გულ ხელ-დაკრეფილები შევსცქერით...

ვარლამ ქიქინაძე

## დეპეშა

16 ივლისს

**პეტერბურგი.** მემკვიდრე ცესარევიჩმა მშვიდობიანად მიმოიმგზავრა იშტში და ნაშუადღევის 4 საათზედ ომსკს მოვიდა. ნავთ სადგურზედ მის უმაღლესობას მიეგებნენ „სტეპის“ გენერალ-გუბერნატორი, ქალები და დეპუტაციები ციმბირის ყაზახთა ჯარისა და ქალაქისა. მისი უმაღლესობა პირდაპირ წმ. ილიას ეკკლესიაში მივიდა, შემდეგ მიბრძანდა გენერალ-გუბერნატორის სახლში, რომლის გვერდზედაც გამწკრივებული იყო ზურგის ჯარის საპატიო დარაჯი, ხოლო გზაზედ მისის უმაღლესობის წინაშე წარსდგნენ რამდენიმე წარჩინებული და აგრეთვე დეპუტაციები პურ-მარილითურთ.

**კრონშტადტი.** ქალაქის გამგეობის სადილმა, რომელზედა საფრანგეთის მენავოსნები იყვნენ მოწვეულნი, დიდად მხიარულად ჩაიარა. პირველი სადღეგრძელო დალია ქალაქის თავმა შებუნინმა და პრეზიდენტი კარნო ადღეგრძელა; ამ სადღეგრძელოს ყველა იქ დამსწრე დიდის თანაგრძნობით

---

რთულმა ენამ თითქმის არ იცის. გარდა ამისა ქართულს ენას აქვს მხოლოდ ერთი ბრუნვა. რომელ უხმო ასოზედაც უნდა იყოს დაბოლოებული სიტყვა, მათს ნათესაობითს ბრუნვაში აქვს ბოლოს მარცვალი „ისა“, მიცემითში—სა და მოთხრობითში—მან, მოქმედებითში—ით. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მრავლობითი რიცხვი მხოლობითი რიცხვისაგან მხოლოდ იმითი განირჩევა, რომ სიტყვის ძირისა და ბრუნვის დაბოლოვების შუა ჩაემატება მარცვალი ებ: სტოლი, სტოლ-ებ-ი, სტოლ-ებ-ისა, სტოლ-ებ-სა და სხვანი. ერთი სიტყვით, ქართული ენა ამ მხრივ სამაგალითო სიმარტივის პატრონია და უადვილესს ენას ეკუთვნის. სრულიად სხვა სურათს წარმოგვიდგენს რუსული ენა. რუსული სიტყვები ბოლოვდებიან ყველა ხმოვან და უხმო ასოზედ, ასე რომ ოცდა ათი მეტი დაბოლოებაა ამ ენაში, როდესაც ქართულმა ენამ იცის მხოლოდ ხუთი დაბოლოება. ამასა ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ყველა უხმო დაბოლოება სიტყვისა რუსულს ენაზედ ორ-გვარია: მაგარი, რომლის ნიშანია ъ და რბილი, რომელსაც ნიშნად აქვს ь. ამ სიმრავლეს დაბოლოებისას მოსდევს სიმრავლე ბრუნვებისა, რადგანაც სხვა-და-სხვა დაბოლოვების სიტყვებს თავისი განსაკუთრებითი ბრუნვა აქვთ. აგრეთვე მრავლობითი რიცხვის დაბოლოვებანიც არა ჰგვანან მხოლობითის რიცხვის დაბოლოვებას და ამასთან არიან მრავალნი. ჩვენ რომ საგნის ცხადად გამოსარკვევად შევადაროთ ერთი რომელიმე რუსული ბრუნვა ყოველგვარი დაბოლოებისა ყველა ქართულს ბრუნვებთან, აღმოჩნდება რომ ერთს რუსულ ბრუნვას უფრო მომეტებული დაბოლოება აქვს, ვიდრე მთელ შვიდს ბრუნვას ქართულ ენაზედ. ამ მხრივ რუსული ენა ერთი უურთულესი და უძნელესი ენაა. რა ღონისძიებით უნდა გავუადვილოთ ბავშსა ამ უდიდესი სიძნელის დაძლევა?— პირველს ხანებში ჩვენ უნდა ვასწავლოთ იმისთანა რუსული ფრაზები, რომლებშიაც იხმარებიან მხოლოდ დასაწყისნი ფორმანი სიტყვებისა, ანუ ბრუნვანი სახელობითნი მხოლოობითი და მრავლობითი. შემდეგში, ცოტ-ცოტად და თან-და-თან უნდა გავაცნოთ სხვა ბრუნვების ხმარებაცა. თუ ასე არ მოვიქეცით და ბავშს თავდაპირველადვე განურჩევლად მივაყარეთ მრავალი დაბოლოვების ფრაზები, ჩვენ მას უზიდველ ტვირთს ავკიდებთ, დავჩაგრავთ, გადავრევთ. ეს მით უფრო მიუცილებლად უნდა მოხდეს, რომ ქართულს და რუსულს დაბოლოებათ შორის იოტის ოდენა მზგავსება არ მოიპოვება. ამიტომ რუსულ დაბოლოებათა შესწავლა ჩვენს ბავშვებს ბევრით უფრო უძნელდებათ, ვიდრე რუსულის სიტყვებისა.

მესამედ: ქართულს სახელებს თანდებულნი ბოლოში უსხანან: დედასთან, ოთახში, ქალაქამდე და სხვანი. რუსულს სიტყვებს-კი თანდებულნი წინ უძღვანან: около матери, въ комнатѣ, до города. ამიტომ როდესაც რუსულს თანდებულიანს ფრაზებს ქართულად უთარგმნით შეუსაბამობა მოდის და ეს შეუსაბამობა ბავშს აბრკოლებს. რომ ეს დაბრკოლება თავიდგან ავაცილოთ მას, უნდა ვერიდოთ პირველ ხანებში თანდებულიან სიტყვებსა და ფრაზებსა.

ამ ძირითადი განსხვავებით, რომელიც აღვნიშნეთ ქართულს და რუსულს ენას შორის, უხელმძღვანელია ბ-ონ ლევიცკის, თუ არა? იოტის ოდენადაც არა. მის ანბანშივე თქვენ შეხვდებით წამ-და-უწუმ ყოველგვარის დაბოლოების სიტყვებსა, ყოველ გვარს ბრუნვასა, ყოველ გვარს ნათესაურს დაბოლოებათა და ფრაზები ხომ თითქო განზრახ სულ თანდებულიანი შეურჩევია.

რასა ფიქრობდა ავტორი „კურსისა“, როდესაც ამდენს სიძნელეს აყრიდა დასაწყისშივე საწყალ ქართველს ბავშვებს თავზედა? ნუ თუ იმისათვისაც ცხადი არ არის, რომ ამ გვარი სწავლება ენისა ჭეშმარიტი წვალებაა ბავშვებისა და არა სწავლება? ნუ თუ წამის მოსაზრებაც საკმარისი არ არის, რომ ამ გზაზედ დაყენებული რუსულის ენის სწავლება, არამც თუ ნაყოფს ვერ გამოიღებს, შეუძლიან სრულიად შეაძულოს ბავშვებს იგი და მისი შესწავლა შემდეგშიაც შეუძლებელი გახადოს.

ამ გვარი საქციელი ბ-ნ ლევიცკისა მით უფრო გასაკიცხია, რომ რუსულს ენაზე ბევრი, ძალიან ბევრი ფრაზაა, ხშირად ცხოვრებაში სახმარებელი, რომელშიაც არ ურევიან არც ნათესაური დაბოლოებანი, არც ალმაცერა ბრუნვანი (косвенные падежи) და არც თანდებულნი.

ჩვენ გავჯერდით და ვგონებ მკითხველიც გავაჯერეთ მრავალი შეცდომის გამოაშკარავებით, რომელიც „კურსის“ ავტორს ჩაუდენია პატარა რუსულს ანბანში; მაგრამ მაინც ვერ აღვნუსხეთ ყველა შეცდომა. დანარჩენს შეცდომებში საყურადღებოა ორი კიდევ. ერთი მდგომარეობს იმაში, რომ მთელს ანბანში არც ერთი სარწმუნოებრივი ფრაზა არ მოიპოვება და, ასე გაშინჯეთ, ღმერთის სახელიც-კი დავიწყებულია. მეორე შეცდომა ის გახლავთ, რომ, ავტორს დავიწყებია ანბანის ბოლოში დაებეჭდა ვყელა რუსული ასოებისა იმ რიგზედ, რომელიც ძველი დროიდგან მიღებულია. ეს შეცდომაც მცირე არ არის, რადგანაც ბავშმა უთუოდ უნდა იცოდეს რიგი ასოებისა. სხვა არა იყოსრა იგი სრულიად ვერ მოიხმარებს ლექსიკონებსა, თუ ეს რიგი მტკიცედ არ იცის. ყველა რუსული ანბანის შემადგენელი ბოლოში უთუოდ რიგზედ დაბეჭდავს ხოლმე სიას რუსულის ასოებისას. აქაც ავტორს თავისი თავისებურობა გამოუჩენია და ანბანში ანბანი დავიწყებია. განა ამნაირად დაყენება სახალხო სკოლაში რუსულის ენის სწავლებისა ნამდვილ დანაშაულობას არ შეადგენს ერთის მხრივ ხალხისა და მეორე მხრივ სახელმწიფო ენის წინაშე?

საუბედუროდ, ცოდო ანბანით არ თავდება. უკულმართობაში მას ეჯიბრება, რაც ძალა და ღონე აქვს, საკითხავი წიგნი, „კურსად“ წოდებული, და გამარჯვებითაც ეჯიბრება.

(შემდეგი იქნება)

მიეგება. ამის პასუხად ადმირალმა ჟერვემ აღლეგრძელა ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა, და მთელი სამეფო სახლი. ამ სადღეგრძელოს რუსული საერო საგალობელი და ალტაცებული „ურა“-ს ძახილი მოჰყვა. შემდეგ აღლეგრძელეს ადმირალმა ჟერვემ რუსეთის მენავოსნეები და ქალაქის თავმა—საფრანგეთის მენავოსნეები და მათი პატივცემული წარმომადგენელი თვით ადმირალი ჟერვე. ამ სადღეგრძელოებს მოჰყვა მარსელიეზა, რუსეთის საერო საგალობელი, „ურა“-ს და „vive la France“-ს ძახილი; რამდენიმე გრძნობით სავსე სიტყვა წარმოითქვა. ყოველ სიტყვაზედ პასუხს აძლევდა ადმირალი ჟერვე. კლუბის შენობის წინ თავ-მოყრილია მთელი გროვა ხალხისა, რომელიც დიდის ალტაცებით ეგებება საერო საგალობლებს.

**კიევი.** წმ. მოციქულთა სწორის დიდის მთავრის ვლადიმერის მოხსენების დღეს სერბიის მთავარმა ღ მისმა თანამხლებლებმა სოფიის ტაძარში მოისმინეს წირვა. წირვის შემდეგ მთავარი ამალათურთ წაბრძანდა ვაჭრების კლუბის ბაღში და აქ დნეპრას ნაპირზედ გამართულ ფარდულიდგან თვალ-ყურს ადევნებდა წყლის კურთხევას. როცა პროცესიამ წმ. ვლადიმერის ქვეშა ძეგლს მიაღწია, მთავარიც მივიდა იქ ამალისა და გენერალ-გუბერნატორის თანახლებით. მთავარის თანადასწრებით იქმნა კურთხეული წყალი. ხალხი ყოველგან ალტაცებით ეგებებოდა მთავარს. წყლის კურთხევის შემდეგ მთავარი საიმპერატორო სასახლეში წაბრძანდა და იქიდგან-კი საღამოს 5 საათზედ საპერების ბანაკის დასათვალიერებლად გაემგზავრა, დილის 9 საათზედ მთავარი მოსკოვში აპირებს წასვლას.

**ყაზანი.** სვიაჟკას რამდენიმე ქუჩა, სახლები, დუქნები ავეჯოულობა-ქონებითურთ სულ ერთიანად დაიწვა. ძნელად თუ გადანაბუგის მეათედი ნაწილი მაინც ყოფილიყო დაზღვეული. სვიაჟსკის საბჭომ 4,000 მან. გადასდო დაზარალებულთა შესამწეოდ.

**ლონდონი.** თეირანიდგან იუწყებიან, რომ სპარსეთის თამბაქოს ამხანაგობამ ამას წინად თავრიზში გამოჰკიდა განცხადებანი, რომლის უმეტესი ნაწილი ჩამოჰხიეს. 12 ივლისს ღამეს ამ განცხადებათა პასუხად გაკრული იყო სარევოლიუციო პროკლამაციები, რომელშიაც ნათქვამია, რომ სასულიერო წოდება უნდა მიეშველოს ერს და მოვკლავთ ყველას, ვინც თამბაქოს ამხანაგობას დახმარებას აღმოუჩენსო. ამ საქმის გამო საკმაოდ ბევრი კაცია დაპატიმრებული.

17 ივლისს

**კრონშტადი.** დღეს 8 საათზე პეტერგოფის სასახლის დიდს დარბაზში სადილი იყო გამართული 160 კაცისა. სუფრაზე ოქროს სერვიზი იყო ყვავილებით მორთული. სადილზე იყვნენ: მათნი იმპერატორებითნი უმაღლესობანი, ელინთა დედოფალი და ქალი მისი მარიამ, დიდნი მთავარნი და მთავრინანი, სადილზედ მიპატიჟებულნი იყვნენ: ადმირალი ჟერვე, საფრანგენთის ესკადრას ყველა გემის უფროსნი, საფრანგეთის უფროსი აფიცრები, რუსის მინისტრები, საფრანგეთისა და საბერძნეთის ელჩნი, რუსეთის ადმირალიტეტი, პრაქტიკული ესკადრას უფროსი და ამალა. მუსიკას უკრავდა სასახლის მემუსიკეთა ხორო.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ივლისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 45 | 7½ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 149 | 149½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 08 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 238 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 228 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | — ,, | — ,, | 213¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოკა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| პატიოსანი ადამიანი . . | „ | 5 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . | „ | 5 |
| მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი. . . . . | „ | 30 |
| სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა. . . . . | „ | 20 |
| ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა . . . . . | „ | 25 |
| იქავე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი**, ისტორიული პოემა აკაკისა . . | 1 | „ |

## „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკოთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდემიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |

## საკომერციო კურსები

### ქალებისა და ვაჟებისათვის

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1891—92 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება საწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, ათთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუჩელიანცს, ტფილისს. (24—94—2)

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე მოვიყვანე საზღვარ გარეთიდან მღებავი მოხელე და გავმართე ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზედ, წყალთა-შუა, ძმ. ვოლოხის სახლში

## სამღებრო და ლაქის ამოსაყვანი ქარხანა

და ვიღებ შესაღებად სხვა-და-სხვა ფერ აბრეშუმეულს: პლიუშას, ხავერდის, შალის და ბამბის ქსოვილებს, ყოველ გვარს შეკერილს ქალის ტანისამოსს; კაცის სამხედრო სამოქალაქო ტანისამოს, ჩოხებს, ჩულქებს, ლენტებს, არშიებს, სირაქლემას ფრთებს და სხვებს. აგრეთვე ვიღებ ტანისამოსსა და ყოველ გვარს დალაქიანებულ მატერიებს ლაქის ამოსაყვანად.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ მიხეილის ქუჩაზე, აკოფოვის შენობაში და ფოსტით მომმართონ შეკვეთილობით და ფერიც გვაცნობონ ნიმუშით.

(28—95—1) ქარხანის პატრონი არტემ ანჯაფარიძე

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

## დ ა ნ ი ა

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია. (36—86—4)



ტფილ. გამოფენა.



ვარცხლისა



ოქროსი

## ადალო თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ,

ტფილისში:

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სტანციების ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველანაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში, ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისთვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცი პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ).

ჩემი ადრესი: въ Тифлисъ заводъ масляныхъ красокъ на кузнецкой улицѣ (ярмарка) или собственномъ домѣ Абасабадская площадъ Агало А. Тутаеву. (15—75—11)